ცნობა

ნოდარ ხადური დაიბადა 1970 წლის 29 აგვისტოს.

1987-1988 და 1990-1992 წლებში მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“.

1991-1996 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მაკროეკონომიკის სპეციალობით.

1996-1999 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი.

2002 წელს დაიცვა დისერტაცია (თემა - „მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“).

1999 წლიდან ასწავლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2004-2005 წლებში იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს (მაკროეკონომიკა, ეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკური თეორია, მაკროეკონომიკური რეგულირება და დაგეგმვა, საქართველოს ეკონომიკა, გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტსა და ზ. ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში.

1996-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის თანაშემწედ.

1997-1998 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველი, აპარატის უფროსი, შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსი.

1999-2000 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის აპარატის უფროსი.

2000-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსად.

2003-2004 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე - საპარლამენტო მდივანი.

2004-2008 წლებში იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ეროვნული კონსულტანტი.

2006 წლიდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი.

კვალიფიკაცია აიმაღლა ავსტრიაში, ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში (ფისკალური პოლიტიკა, მაკროეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკა), შვედეთის განვითარების სააგენტოში (საგადასახადო პოლიტიკა), ეგვიპტის განვითარების სააგენტოში (ექსპორტის სტიმულირება).

არის 85-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

იყო პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად.